

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

27.08.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულო  
თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ჩიკვაიძე  
ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ  
ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია  
ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე  
შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე  
თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ივანიაძე, კობა ძაგნიძე  
ბიჭიკო პაიკიძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი. გელა ღვიტიძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - კობა მალლაკელიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის  
მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირი:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ივანე მამფორია.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე  
გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

**დღის წესრიგი**

„ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ : დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 525,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 23 აგვისტოს N1666 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა გაიზარდა 500,0 ათასი ლარით, ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის /კოპიტნარის მიმართულებით/ მიზნით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა განისაზღვრა 6792,4 ათასი ლარით. პროექტის თანადაფინანსების განხორციელებისათვის საკუთარი შემოსულობების ნაწილში 25,0 ათასი ლარით გაიზრდება მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის. გადასახდელების ნაწილში საბიუჯეტო პროგრამა „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა“ გაიზრდება 525,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N 12)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მინიჭებული მომართველი

